'. არსებული შენობების მდგრადობის დასკვნა

1. ავტოსახელოსნოს შენობა

შ.პ.ს " ბევრილი ჯგუფის " კუთვნილი, არსებული ორსართულიანი, მრავალმალიანი კარკასი (დაუმთავრებელი), შესრულებულია ანაკრები რკბ - ის კონსტრუქციებით გასული საუკუნის 90 - იან წლებში.

კარკასი - ზომებით გეგმაში 24*30 მ, სიმაღლე 7.6 მ, სვეტების ბიჯი 6.0 * 6.0 მ.

აღნიშნული კონსტრუქციის ელემენტები მზადდებოდა ტიპიური სერიის ИИС 22 1/70...3/70 - ის მიხედვით, გათვალისწინებული იყო სეისმიურ რაიონებში მრავალსართულიანი სამრეწველო შენობებისათვის და გაანგარიშებული იყო სართულშუა გადახურვაზე q = 1.5 ტ/ მ2 დროებით დატვირთვაზე (საკუთარი წონის გარდა).

ვიზუალური დათვალიერებით არსებული სვეტები ტექნიკურად კარგ მდგომარეობაშია - დეფორმაცია და ბზარები არ აღენიშნება, ბეტონი არ არის კოროზირებული.

სარეკონსტრუქციო შენობის ფუნქცია - სატვირთო მანქანების სახელოსნო. შენობა + 3.0 მ ნიშნულამდე შემოიზღუდება ბლოკის (დამოუკიდებელი ლენტური საძირკვლით) კედლით, ხოლო ზევით სენდვიჩპანელებით.

დასკვნა: არსებულ სვეტებზე მოქმედი ვერტიკალური დატვირთვები მცირდება მკვეთრად, ესე იგი, შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება დიდი მარაგით.

2. მსუბუქი მანქანების სახელოსნოს შენობა

მსუბუქი მანქანების სახელოსნოს არსებული შენობა, ერთსართულიანი, ერთმალიანი ქვის შენობაა, ზომებით გეგმაში - 9.5 * 38.6 მ, სიმაღლე 4.0 მ.

შენობის ყველა კედელი, აგებულია ბეტონის ანაკრები საკედკე ბლოკებით, მოწყობილი აქვს ანტისეისმური სარტყელი - ზღუდარი და დახურულია რკბ-ის ანაკრები ღრუტანიანი ფილებით (მალი - 4.8 მ) - " სიმკარებით ".

შენობა ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. დახურვის ფილებს ზოგ ადგილზე ბეტონის დამცავი ფენა მოცილებული აქვს და არმატურა მცირედ კოროზირებულია, საჭიროა არმატურის ღეროების გაწმენდა ჟანგისაგან და შელესვა ცემენტ - ქვიშის 1:2 თანაფარდობის ხსნარით.

შენობის სეისმური მდგომარეობის ანალიზი

შენობის სეისმური მდგრადობის ანალიზს ვაწარმოებთ სამშენებლო ნორმები და წესები სნ და წ II – 7 – 81 - ის (მშენებლობა სეისმურ რაიონებში) მიხედვით. შენობის მშენებლობის დროს საქართველოში მოქმედი სეისმური რუკის მიხედვით ადგილის სეისმურობა შეადგენდა 7 ბალს, დღეს მოქმედი ნორმის თანახმად იგი გაზრდილია და არის 8 ბალი

პ. 3.3 შენობის სართულიანობა 1 და სიმაღლე ნორმაშია h = 5.2 მ < 11 მ

პ. 3.37 ქვის (ბეტონი, ბლოკი) შენობების განივ კედლებს შორის მანძილი 4.8 მ < 9.0 მ, 8 ბალიანი სეისმურობისას , ნორმაშია.

პ. 3.41 კედლის (არაარმირებული) სიმაღლე ნორმაშია h = 4.0 მ<4.8 მ.

საკვლევი ობიექტის კედლის ნალესი, ზოგ ადგილზე გამოქარულია, აქვს ბზარები. ვაწარმოებთ დაზიანებული ადგილების ნალესის მოხსნას და ხელმეორედ ლესვას ცემენტ-ქვიშის 1:3.5 თანაფარდობის ხსნარით.

კარების ღიობები (3.7*3.6 მ) უნდა მოჩარჩოვდეს ლითონის კუთხოვანი პროფილებით.

შენობის სახურავზე დაიყაროს წიდის დამათბუნებელი ფენა და მოეწყოს ჰიდროიზოლის ბურული.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებით, არსებული შენობის მდგრადობა იქნება უზრუნველყოფილი.

3. საწყობის შენობა

სათადარიგო ნაწილების საწყობის არსებული შენობა, ორსართულიანი (სიგრძის 1/3) და ერთსართულიანი (სიგრძის 2/3), ერთმალიანი ქვის შენობაა, ზომებით გეგმაში 6.34 * 18.0 მ, სიმაღლე 3.10 მ და 5.9 მ

შენობის ყველა კედელი, აგებულია ბეტონის ანაკრები საკედკე ბლოკებით, მოწყობილი აქვს ანტისეისმური სარტყელი - ზღუდარი და დახურულია რკბ-ის ანაკრები ღრუტანიანი ფილებით (მალი - 6.0 მ) - " სიმკარებით ".

შენობა ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. დახურვის ფილებს ზოგ ადგილზე ბეტონის დამცავი ფენა მოცილებული აქვს და არმატურა მცირედ კოროზირებულია, საჭიროა არმატურის ღეროების გაწმენდა ჟანგისაგან და შელესვა ცემენტ - ქვიშის 1:2 თანაფარდობის ხსნარით.

შენობის სეისმური მდგომარეობის ანალიზი

შენობის სეისმური მდგრადობის ანალიზს ვაწარმოებთ სამშენებლო ნორმები და წესები სნ და წ II – 7 – 81 - ის (მშენებლობა სეისმურ რაიონებში) მიხედვით. შენობის მშენებლობის დროს საქართველოში მოქმედი სეისმური რუკის მიხედვით ადგილის სეისმურობა შეადგენდა 7 ბალს, დღეს მოქმედი ნორმის თანახმად იგი გაზრდილია და არის 8 ბალი

პ. 3.3 შენობის სართულიანობა - 1 და სიმაღლე ნორმაშია h = 6.4 მ < 11 მ

პ. 3.37 ქვის (ბეტონი, ბლოკი) შენობების განივ კედლებს შორის მანძილი 6.3 მ < 9.0 მ, 8 ბალიანი სეისმურობისას , ნორმაშია.

პ. 3.41 კედლის (არაარმირებული) სიმაღლე ნორმაშია h = 3.0 მ<4.8 მ.

კარების ღიობები (2.7*2.7 მ) უნდა მოჩარჩოვდეს ლითონის კუთხოვანი პროფილებით.

შენობის ფასადის დაზიანებული ადგილები, გაიწმინდოს ძველი ნალესისაგან და შეილესოს ცემენტ-ქვიშის 1:3.5 თანაფარდობის ხსნარით

შენობის სახურავზე დაიყაროს წიდის დამათბუნებელი ფენა და მოეწყოს ჰიდროიზოლის ბურული.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებით, არსებული შენობის მდგრადობა იქნება უზრუნველყოფილი.

შ.პ.ს "მუხა-გ" - ს დირექტორი : გ. გოგოლაძე

(კონსტრუქტორი)

25.05.2017წ

